პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 34 (2754) ● ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

გადამწყვეტ ფაზაში

- 500 ათასზე მეტი შეჯიბრება
- 7 მილიონით მეტი, ვიდრე 1963 წელს
- 8.242 რეკორდი: 136—საკავშირო, 68—მსოფლიო
- 910 სპორტის ოსტატი

მოსკოვი, 16 თებერვალი. სსრ კავშირის სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში, რომელსაც სტარტი გასული წლის იანვარში მიეცა, დამამთავრებელ ფაზაში შევიდა. ფინალური შეხვედრები მოეწყობა: რაიონებსა და ქალაქებში — მარტი-მაისი, ოლქებსა, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში — მაის-ივნისში, მოკავშირე რესპუბლიკებში—ივლისში. შემდეგ მოსკოვში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, რიგაში, დუშანბეში, ტალინში, ერევანში, ლენინგრადში, კაუნასში, ყაზანში, ლვოვსა და სხვა ქალაქებში გაიმართება 27 საკავშირო ასპარეზობა საავიაციო, საავტომობილო, სამოტოციკლეტო, რადიო, საწყლოსნო-სამოტორო, წყალქვეშა, სასროლო და სპორტის სხვა სახეობებში. სპარტაკიადის შტაბი იუწყება, რომ 1964 წელს ჩატარდა 500 ათასზე მეტი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. მასში მონაწილეობდა 14,7 მილიონი ადამიანი, 7 მილიონით მეტი, ვიდრე 1963 წელს. დამყარდა 8.242 რეკორდი, მათგან 136 საკავშირო, ხოლო 68 — მსოფლიო. მილიონზე მეტმა ადამიანმა სპორტული თანრიგი შეასრულა, ხოლო 910 სპორტის ოსტატი გახდა.

მ. მესხი, გ. ჩოხელი, ა. კიკნაძე, ფ. ჩიკვილაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატები

მოსკოვი, 17 თებერვალი (საქდესი). სპორტის მოყვარულები არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ მოჭიდავეებს ანზორ კიკნაძეს, ფარნაოზ ჩიკვილაძეს და ფეხბურთელებს მიხეილ მესხსა და გივი ჩოხელს.

ანზორ კიკნაძე საერთაშორისო ასპარეზობათა მრავალგზის გამარჯვებული, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონია მძიმე წონის ძიუდოისტებს შორის. მისი თანამემამულე ფარნაოზ ჩიკვილაძე, რომელიც კიკნაძეზე გაცილებით ახალგაზრდაა, აგრეთვე წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაზე ორივე მოჭიდავემ ღირსეულად დაიცვა საბჭოთა სპორტის სახელი. მათ მონაწილეობა მიიღეს ძიუდოისტთა შეჯიბრებაში და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა მიხეილ მესხმა და გივი ჩოხელმა დიდად გაუთქვეს სახელი საბჭოთა სპორტს. მიხეილ მესხმა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო 26 საერთაშორისო შეხვედრაში სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული გუნდების წინააღმდეგ. მესხიც და ჩოხელიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ევროპის თასი მოიპოვა, მონაწილეობდნენ აგრეთვე ჩილის მსოფლიო ჩემპიონატშიც.

თვალსაჩინო მიღწევებისათვის სპორტში ანზორ კიკნაძეს, ფარნაოზ ჩიკვილაძეს, მიხეილ მესხსა და გივი ჩოხელს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა.

სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიიღო აგრეთვე როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშემ ვ. პონედელნიკმა.

ცურვა

საქართველოს უძლიერეს მოცურავეთა რესპუბლიკური შეჯიბრება

წარმატების წყარო

ისეთ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, რომლებიც საერთო ფიზმომზადებას უარყოფენ, ახლა იშვიათად შევხვდებით: პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ შედეგთა ზრდის ძირითადი ბაზა სწორედ კარგი საერთო ფიზიკური მომზადებაა. სპორტსმენთა წვრთნის ამ ეტაპს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის მომზადებაშიც. მათ მთელი ზამთარი „მშრალი ცურვის" დარბაზსა და სტადიონებზე გაატარეს. ზოგიერთმა ბაკურიანშიც ივარჯიშა.

მოცურავეთა წვრთნაში დამატებით სახეობებს წელს ვარჯიშების საერთო დროის 50 პროცენტი ჰქონდა დათმობილი, მაგრამ არც წყალზე მეცადინეობა წყდებოდა. საქართველოს სპორტსმენებმა ცურვის საერთო მოცულობის შემცირების ხარჯზე საგრძნობლად გაზარდეს ინტენსივობა. ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მოცურავენი თუ 2-3 წლის წინ ვარჯიშებზე დღეში 5 კილომეტრს ცურავდნენ, ხოლო ინტენსიურ ვარჯიშთა რაოდენობა 20-30 პროცენტს არ აღემატებოდა, წელს პირიქით, გასაცურ მანძილთა რაოდენობა 3 კილომეტრამდე შემცირდა, ინტენსივობა კი 70-80 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოს უძლიერესმა მოცურავეებმა წვრთნის ახლებური მეთოდის სისწორე ამ დღეებში შეამოწმეს. თბილისის „დინამოს" აუზში 15 თებერვალს დაიწყო ტრადიციული რესპუბლიკური შეჯიბრება ცურვასა და საერთო ფიზმომზადებაში. პროგრამაში იყო სავალდებულო გაცურვები 50, 100 ან 200 მეტრზე სპორტსმენის მიერ არჩეული სტილით და 200 მეტრზე კომპლექსური ცურვა, აგრეთვე ღერძზე მიზიდვა, იატაკიდან ხელებზე აწევა, ადგილიდან სიგრძეზე ხტომა და რბენები — ქალებისათვის — 500 მეტრზე, ვაჟებისათვის — 800 მეტრზე.

50 მ ცურვა სამართლიანად ითვლება წარმატების „გასაღებად", ამ დისტანციაზე ვინც მაღალი სისწრაფის განვითარებას შეძლებს, 100 მეტრზე გამარჯვების იმედიც უნდა იქონიოს. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო ამ რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ, თბილისელმა ოსტატმა ბ. ნიკიტინმა 50 მ თავისუფალი სტილით 26,5 წამში გაცურა, ხოლო 100 მ — 58,9 წამში. ბრასით ცურვაში ოსტატმა ა. ტუტაკაევმა 50 მეტრი 33,2 წამში დაფარა, 100 მეტრზე კი 1.12,7 აჩვენა. ქალთა შორის ამავე დისტანციებზე ბრასში უძლიერესმა ნ. ზამბახიძემ მანძილები შესაბამისად 39,3 და 1.28,1-ში გაცურა.

საწინააღმდეგო ფაქტს ჰქონდა ადგილი „დელფინით" ცურვაში. 50 მეტრზე თბილისელმა რ. კრისანოვმა და ვ. ზლობინმა (სოხუმი) კარგი დრო (შესაბამისად 30,7 და 31,1) აჩვენეს, მაგრამ 100 მეტრზე ფინიშთან ორივენი ერთდროულად — 1.08,9 მივიდა. როგორც ჩანს, „დელფინი" კვლავ რჩება ჩვენი მოცურავეების „აქილევსის ქუსლად". ამ სახეობაში სტარტზე სულ 3 ქალი და ამდენივე ვაჟი გამოვიდა. მათი შედეგები საშუალოზე ნაკლებია. პროგრესი მხოლოდ 16 წლის ნ. ჟიგალიოვას ემჩნევა. მან 100 მეტრზე გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა (25-მეტრიან აუზისათვის) — 1.19,7.

თუ როგორია ჩვენი მოცურავეების საერთო ფიზმომზადება, ეს საბოლოოდ დღეს გამოირკვევა. და მხოლოდ ტურნირის დამთავრების შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოს მოცურავეთა ახალი სეზონისათვის სამზადისში გაწეულ მუშაობაზე.

ბ. მესხიშვილი.

• • •

სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ—ბ. ნიკიტინი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის დროს; რესპუბლიკის ახალი რეკორდის მფლობელი ნ. ჟიგალიოვა; 16 წლის თბილისელი ვ. ბერიძე, რომელმაც 50 და 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მესამე ადგილები მოიპოვა.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

ციგურები

ე. მატუსევიჩი უძლიერეს მოციგურეთა სიის სათავეში

ციგურებით სრიალში მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ, როცა საქვეყნოდ ცნობილი გახდა ჩვენი პლანეტის ახალი ჩემპიონის პერ-ივარ მუს სახელი, ნორვეგიულმა პრესამ დიდი განგაში ატეხა მათთვის ამ სასიამოვნო მოვლენის გამო. ახალ ჩემპიონს მიეძღვნა გაზეთების მთელი პირველი გვერდები, „არბეიდერბლადეტში" კი დაბეჭდილია ფოტოსურათი, როცა ერთად დგანან ივარ მუ და ნორვეგიის იმპერატორი ულაფი V.

ნორვეგიული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს „ბიშლეტის" სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს, რომელიც კარგად ერკვეოდა შეჯიბრების ნიუანსებში. ამასთან ერთად, პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ პირველობის შედეგი სულ სხვა იქნებოდა, რომ მინსკელი ე. მატუსევიჩი არ დაცემულიყო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სვერე ფარსტადი თვლის, რომ ე. მატუსევიჩის დრო იქნებოდა 40,5—41,0, რომ იგი კვლავ რჩება მსოფლიოს უძლიერეს მოციგურეთა სიის სათავეში.

გუშინ...

თბილისის „დინამოს" საცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრება. ამ დღის პროგრამაში იყო კომპლექსური ცურვა 200 მეტრზე. ვაჟთა შორის გამარჯვებულმა ბ. ნიკიტინმა დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი 25-მეტრიანი აუზისათვის — 2.26,3. ა. იოაკიმიდიმ კი ჭაბუკთა რეკორდი გააუმჯობესა — 2.30,9. ქალთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი ი. ჩუგუევსკაია— 2.53,8. ბათუმელი ხ. შაგოვა მეორე ადგილზე გამოვიდა — 2.57,2.



◆ ტამპერე, 17 თებერვალი. მაიბიან ჰოკეიში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ადგილს — ტამპერეს უკვე ესტუმრა ჰოკეის სამშობლოს — კანადის ნაკრები გუნდი. სტუმრებმა დღეს გამართეს პირველი ამხანაგური მატჩი ფინელ ჰოკეისტებთან და მოიგეს იგი ანგარიშით 4:2.

◆ **ლახტი.** 17 თებერვალი. დღეს აქ გაიმართა II მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფრენბურთში. ცსკა-მ (სსრ კავშირი) ანგარიშით 3:0 დაამარცხა ლახტის „კიმოს" გუნდი. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრაც ჩვენი ფრენბურთელების გამარჯვებით დამთავრდა.

ძალოსნობა

ა. ჯეჯელავა — სსრ კავშირის ჩემპიონი

●

საქართველოს გუნდი — III ადგილზე

●

პოლტავაში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ასპარეზობა ძალოსნობაში. საქართველოს კოლმეურნე ძალოსანთა გუნდმა III საპრიზო ადგილი მოიპოვა, ხოლო ქვემძიმე წონის სპორტსმენმა ა. ჯეჯელავამ სოფლის ძალოსანთა ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე ჩვენი გუნდის სხვა ძალოსნებიც. მჩატე წონის რ. დათიკაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ქვემსუბუქ წონაში საქართველოდან 2 სპორტსმენი გამოდიოდა. აქ ა. ხურმანიძე მეორე იყო, ხოლო დ. შანიძე — მეოთხე.

ჰოკეი

კანადის ნაკრების მომავალი ვიზიტი

საბჭოთა და კანადელი ჰოკეისტები ძველი მეტოქეები არიან. გასული წლის ბოლოს სსრ კავშირისა და კანადის გუნდები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს კანადასა და შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ტურნირზე. კანადის ნაკრების მწვრთნელის აზრით ამ ქვეყნის ახალნდელი გუნდი, რომელიც ტამპერეს (ფინეთი) მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა, წინამორბედ კოლექტივებზე ძლიერი იქნება. ეს ოპტიმისტური განწყობილება იმან გამოიწვია, რომ საბჭოთა ჰოკეისტების კანადიდან გამგზავრების შემდეგ აქ ერთმანეთს შეხვდნენ კანადის ეროვნული ნაკრები და ცენტრალური პროფესიული ლიგის გუნდი. მატჩი დიდი გაჭირვებით მოიგეს პროფესიულმა ჰოკეისტებმა.

თებერვლის ბოლოს კანადის ნაკრები ჩვენს ქვეყანაში ჩაატარებს 2 მატჩს.

მთავარია შეჯიბრების კულტურა

სტადიონის მთავარ შემოსასვლელთან დროშების ტყე გამოჩნდა. ლამაზ ტრუსებსა და მაისურებში გამოწყობილმა გოგონებმა და ჭაბუკებმა მწყობრი ნაბიჯით გაიარეს სარბენი ბილიკები და ცენტრალური ტრიბუნის წინ განლაგდნენ. სპორტკავშირის წარმომადგენლის მისალმების შემდეგ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების საუკეთესო სპორტსმენები შესაბამის სექტორებზე განაწილდნენ. ასპარეზობა დაიწყო.

მათი აღმზრდელები — რესპუბლიკის გამოჩენილი მწვრთნელები ტრიბუნებზე ისხდნენ და ბრძოლას თვალს ადევნებდნენ. ზოგჯერ, როცა რომელიმე სპორტსმენის მოძრაობაში თავს იჩენდა ტექნიკური წუნი, მწვრთნელი ადგილიდან წამოიწევდა, მაგრამ ეს იყო წამიერი აღელვების შედეგი. სინამდვილეში ხუთდღიანი ასპარეზობის დროს არც ერთ მათგანს ფეხი არ დაუდგამს სექტორზე. ყველაფერს უბის წიგნაკში იწერდნენ.

სტადიონზე იდეალური წესრიგი სუფევდა. ასპარეზი დათმობილი ჰქონდათ მონაწილეებს, რომლებსაც გარკვევით ეწერათ ნომრები მაისურებზე. წამზომებით, სასტარტო პისტოლეტებით, სპეციალურ ფორმაში გამოწყობილი რესპუბლიკური და საკავშირო კატეგორიის მსაჯებიც შეჯიბრებაზე იყვნენ გამოცხადებული და სპორტსმენთა ყველა მაჩვენებელს ზუსტად ზომავდნენ: გამარჯვებულის გამოსავლენად და რეკორდების დასამტკიცებლად ხომ ყოველ წამს და სანტიმეტრს აქვს მნიშვნელობა.

სტადიონის ტრიბუნებზე ხუთ დღეს არ დამცხრალა „სპორტის დედოფალზე" შეყვარებულთა გამამხნევებელი ყიჟინა, ალტაცების შეძახილები. დიქტორი მაყურებელს რეკორდსმენებსა და ახალ ოსტატებს აცნობდა.

იკითხავთ: როდის გაიმართა ასე შესანიშნავად ორგანიზებული და უხვმოსავლიანი შეჯიბრება? ოდესღაც. ახლა კი... მსგავსს ვერაფერს ნახავთ.

მარტო მძლეოსნები იწვიან ამ ტაფაში? არა. მაყურებლის გარეშე, ძალზე დაბალი შედეგებით ტარდება მოცურავეების, წყალში მხტომელების, წყალბურთელების, მოფარიკავეების, ტანმოვარჯიშეების, ხუთჭიდელების, მოთხილამურეებისა და სხვათა საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირები. ყველაფერი ეს კი შეჯიბრების კულტურის ამაღლებისთვის უზრუნველობამ გამოიწვია.

სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების, შესაბამის სახეობათა ფედერაციების წარმომადგენლები შეჯიბრებებს ზოგჯერ არც კი ესწრებიან, ნაკლებად მონაწილეობენ მათი ორგანიზაციული მხარეების გადაწყვეტაში. კვალიფიციური მსაჯები საქმეს გაურბიან, მცირე მასშტაბის შეჯიბრებებს არ კადრულობენ, რის გამო ხშირად მათ ადგილს ისეთი მწვრთნელები იკავებენ, რომელთა აღზრდილებიც ასპარეზობაში მონაწილეობენ. იქმნება მიკერძოებისა და უთანხმოებათა ატმოსფერო. ხშირად სპორტსმენს ვერც გაარჩევ მსაჯისგან, მსაჯს — მაყურებლისგან. ასპარეზზე ქაოსია.

ჩვენში შეჯიბრება თვითმიზანი როდია. მისი ამოცანაა არა მარტო უძლიერესთა გამოვლინება, არამედ სპორტში ახალი მასების მიზიდვაც, სპორტის განვითარების ერთ-ერთი ძირითა-

მაყურებელი და სპორტსმენიც რომ კმაყოფილი იყოს

დი ფაქტორია სანიმუშოდ ორგანიზებული ასპარეზობა და აქედან გამომდინარე, მსაჯების კარგი მუშაობაც. ჩვენი სპორტის პროგრესი, რომელიც გამოხატულებას მასობრიობასა და სპორტსმენთა მიღწევების ზრდაში პოულობს, მსაჯთა კოლეგიის კარგი საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელია. კარგად ორგანიზებული და ზუსტად ჩატარებული შეჯიბრება სპორტის საუკეთესო აგიტატორია.

ასპარეზობის კულტურის, სპორტში მასების მიზიდვის მეორე ფაქტორია ღონისძიების ჩატარების მაუწყებელი, კარგად გაფორმებული და შინაარსიანად შედგენილი აფიშებიც. უმეტეს შემთხვევაში შეჯიბრებანი ისე ეწყობა, რომ მათ შესახებ მოყვარულებმა არაფერი იციან. აფიშები ხან სულ არ არის, ხანაც ცუდად შედგენილი და უგემოვნოდ გაფორმებულია და გვიან გამოკრული.

საამისო ფაქტები მრავალი იყო გასულ სეზონში. ასე უაფიშოდ ჩატარდა თბილისის შარშანდელი პირველობანი სატყვიო სროლაში, სათხილამურო თხილამურებში, ფარიკაობაში, ასეთი იყო რესპუბლიკის მოსწავლე მძლეოსანთა საშემოდგომო შეჯიბრება, აჭარის მძლეოსანთა საუწყებო პირველობა. რეკლამისთვის არც „დინამოს" სპარტაკიადის ორგანიზატორებს უზრუნიათ.

უცნაური იყო მშვილდოსნობაში თბილისის პირველობის აფიშა. სპორტის ეს სახეობა უკვე გავიდა საკავშირო ასპარეზზე. საქართველოს რესპუბლიკური ჩემპიონატებიც გაიმართა. თბილისის კოლექტივებში კი მისი დანერგვა დღემდე ვერ შეძლეს, რამაც ქალაქის სპორტკავშირი აიძულა მსურველებისთვის აფიშით მოეწოდებინა ამა და ამ დროს ამა და ამ ადგილას გამოცხადებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის ჩემპიონატში. ცხადია, თბილისშიც ბევრია ამ სახეობით დაინტერესებული, მათ დარაზმვაზე, პირობების შექმნისთვის კი არავის უზრუნია. ამის შედეგად პირველობა ჩაიშალა. ქუთაისში გამართული საქართველოს ჩემპიონატი თბილისელთა მონაწილეობის გარეშე ჩატარდა.

რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა ავჭალის სასროლეთი, მაგრამ იგი არაა ისე კეთილმოწყობილი, რომ სროლა ღამეც შეიძლებოდეს. შარშან ჩატარებული საქართველოსა და უკრაინის ტყვიით მსროლელთა სამატჩო შეხვედრის მაუწყებელი აფიშები კი შეჯიბრების 21 საათზე დაწყებას იტყობინებოდნენ. საოცარი დაუდევრობაა!

ყველას მაინც „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის მაუწყებელმა აფიშამ გადააჭარბა. თუ ქალაქში მაშინ გაკრულ ვარდისფერ ქაღალდებს დავუჯერებთ, სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებანი 2-7 დეკემბერს უნდა გამართულიყო. სინამდვილეში ასპარეზობანი პროგრამის მთელ რიგ სახეობებში ერთი, ერთნახევარი თვით ადრე დამთავრდა. ფაქტები სხვაც ბევრია, მაგრამ მაგალითისთვის, ვფიქრობთ, ესეც კმარა.

მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება, ვისაც ნამდვილად სურს ფიზკულტურასა და სპორტში მასების მიზიდვა და მიღწევანთა გამოვლინება, ღონისძიებათა კულტურის ამაღლებისთვისაც უნდა იზრუნონ.

სპორტკავშირების კონფერენციებზე

შესაძლებლობანი გამოყენებული არ არის

დუშეთის პარტრაიკომის სააქტო დარბაზში სპორტკავშირის მორიგ რაიონულ კონფერენციაზე ფიზაღზრდის მასწავლებლები, ფიზსაბჭოს თავმჯდომარეები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპორტული მუშაკები შეიკრიბნენ.

ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოსულმა რაიონული სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ მ. კარიაულმა, მოკამათეებმა: დუშეთის 11 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა რ. ოთარაშვილმა, I საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა გ. ბუჩაშვილმა, ანანურის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა დ. ქავთარაძემ, დოსააფის წარმომადგენელმა გ. სონიშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე. აღინიშნა ანანურელ მძლეოსანთა, დუშელ კალათბურთელთა, ჭოპორტელ ხელბურთელთა, ოძისელ და არღუნელ მოჭიდავეთა წარმატებანი, ბულაჩაურისა და ბაზალეთის 8-წლიანი სკოლების მოსწავლეთა თაოსნობა ბაზების საკუთარი ძალებით მოწყობის საქმეში და სხვ.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნაკლოვანებათა მხილებას. რაიონის მთელ რიგ საშუალო და რვაწლიან სკოლებში სექციური მუშაობისა და აკადემიური გაკვეთილების გამართვის ნორმალური პირობები არ არსებობს. გრემისხევის, ჭოპორტის, ანანურის, არანისის საშუალო და აბანოსხევის, მაღაროს კარის, ჩარგლის, სანდოს 8-წლიან სკოლებს დარბაზები არა აქვთ, დირექციები კი მათი მოწყობისთვის თავს არ იწუხებენ.

ბარისახოში, მლეთსა და ფასანაურში სათხილამურო სპორტის განვითარების ყველა შესაძლებლობაა, მაგრამ ამ სოფლების სპორტსმენთაგან დაკომპლექტებულმა რაიონულმა ნაკრებმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე მეტად დაბალი შედეგი მოიპოვა. ამ სოფლებში შესანიშნავი მონაცემების მქონე ახალგაზრდებია, რომლებსაც ყოველდღიური წვრთნით და შესაფერი პირობების შექმნით წარმატების მოპოვება შეუძლიათ მძლეოსნობაში.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება და აირჩია პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. სპორტკავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ს. ხუროძე.

ვ. ღურბელაშვილი.
(საკ. კორ.).

დუშეთი.

გადაწყვიტეს და შეასრულეს კიდეც

თბილმშენის საბინაო სამმართველოს კომუნალური განყოფილების უფროსი უ. ჩაგელიშვილი კაბინეტის ფანჯრებიდან გასცქეროდა იქვე მდებარე უმოქმედო, მოუვლელ სპორტულ ბაზებს და უკვირდა: ამდენი ხანია აქ მოვარჯიშე არავინ მინახავს. ვერავინ იტყვის, რომ 2.500-კაციან კოლექტივში ნახევარზე მეტი მაინც არ იყოს სპორტის მოყვარული, მაგრამ... ინიციატორი არსად ჩანდა და საქმე ისევ განყოფილების უფროსმა იკისრა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩაგელიშვილთან უჩვეულო საუბარი გაიმართა. იგი ბინების კეთილმოწყობას, საწარმოო გეგმების შესრულებას კი არ შეეხებოდა, არამედ მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობას. პირველი სიტყვა განყოფილების უფროსმა თქვა, დანარჩენი კი შეკრებილებმა დაუმატეს. გამოუყენებელ შესაძლებლობებზე, ბაზების მდგომარეობაზე, მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დაბალ დონეზე სინანულს გამოთქვამდნენ ფიზსაბჭოს თავმჯდომარე ო. ჯაფარიძე, ინჟინერი თ. ფრანგიშვილი, მუშა ჯ. მხეიძე, სპორტის ოსტატი მ. ქლენტი, ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატი გ. ჯეჯელავა და სხვები.

სწორი არ იქნება ვთქვათ, თითქოს თბილმშენის ორგანიზაციებში არაფერი კეთდება, სპორტული ჯგუფები არ მუშაობენ და შეჯიბრებებში არ გამოდიან. მაგრამ რაც კეთდებოდა, ეს მხოლოდ შესაძლებელის მინიმუმი იყო და აი, ახლა, სწორედ იმაზე ბაასობდნენ, რომ მაქსიმუმისთვის მიეღწიათ და საერთო ძალით კოლექტივის ფიზკულტურული ორგანიზაცია ქალაქში მოწინავეთა რიგებში ჩაეყენებინათ.

გადაწყვიტეს: წესრიგში მოეყვანათ მოედნები, პავილიონი სპორტულ დარბაზად გადაეკეთებინათ. 110 კვადრატული მეტრი ფართის დარბაზში კი თავისუფლად შეიძლებოდა მოკრივეების, ტანმოვარჯიშეების, ძალოსნების, მაგიდის ჩოგბურთელების წვრთნა.

რაკი გადაწყვიტეს, შეასრულეს კიდეც: თბილმშენის ორგანიზაციებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სპორტული, მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობაც. დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში. ჯანმრთელობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ამ უებარ საშუალებას ყოველდღიურად 2.000 მშენებელი მიმართავს და შედეგსაც თვალნათლივ ხედავენ. აქაურმა სპორტსმენებმა კიროვის რაიონის სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაისაკუთრეს, მერე მშენებელთა პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზეც ისახელეს თავი, ვალში არც „განთიადის" ჩემპიონატებზე რჩებიან.

წელს ახალი პერსპექტული გეგმა აქვთ დასახული ფიზკულტურული მუშაობის თავკაცებს და იმედიც აქვთ, რომ ახალ წარმატებებს მიაღწევენ.

თ. გაჩეჩილაძე.

სურათზე: თბილისის ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშის სპორტსკოლაში მეცადინეობენ ნორჩები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ზესტაფონი

I სვირის საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა და მოშაშეებმა ამას წინათ მოაწყეს თავიანთი პირველობა. 11 მოჭადრაკე ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონის სახელს, ბოლოს მას დაეუფლა გ. კაკაურიძე. შაშში ჩემპიონობაზე პრეტენზიას 30 მოსწავლე აცხადებდა. დაძაბულ ბრძოლაში პირველი მოშაშის სახელი ე. კაკაურიძემ დაისაკუთრა.

ლ. ჯიშიაშვილი.

მკითხველის ფელეტონი

ფეხბურთი ნაწვერალზე

პატივცემულო რედაქციავ! სოფლის მეურნეობაში ცნობილია, რომ ერთსა და იმავე ფართობზე ერთი წლის განმავლობაში ორი ან სამი კულტურის მოსავალი მოჰყავთ. მაგალითად, სიმინდის ნაწვერალზე შეიძლება ქერი დათესო და მშვენიერი მოსავალიც მიიღო. ამ ბოლო ხანებში ეს აგროტექნიკური წესები დიდ ცვლილებებს განიცდის. მაგალითად, ბორჯომის რაიონის სოფელ ვაშლოვანის ხელმძღვანელები იმდენად პრაქტიკულნი გამოდგნენ, რომ სიმინდის ნაწვერალზე მოჰყავთ არა მარტო ქერი, არამედ... თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთიც!

როგორ მიაღწიეს ბორჯომელებმა ასეთ აგრო-სპორტულ წარმატებებს?

ამდაგვარად: ჩვენ, ვაშლოვანელ სპორტსმენებს, გვაქვს ფეხბურთის სათამაშო ფართობი, რომელიც არამც და არამც არ შეიძლება სპორტულ მოედნად მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ აქ ყოველწლიურად თესენ „მინდვრის დედოფალს". ვშრომობთ მთელი ზამთრის განმავლობაში, ყანა-სტადიონს მოვასწორებთ, ძელებს აღვმართავთ, თერთმეტმეტრიანების წერტილებს დავსვამთ და ბურთიც გაინავარდებს. მაგრამ რა? როგორც კი მოკრავენ თვალს კოლმეურნეობის მესვეურები სწორ მინდორს, იმ წამსვე წამოიძახებენ:

— უჰ, შენი ჭირიმე, ხელის გულივით არ მოუსწორებიათ ბიჭებს! ჩქარა ტრაქტორი!

მოვა ტრაქტორი, დათესენ სიმინდს, შემდეგ მოსავალს აიღებენ, ჩვენ ზამთარში ნაწვერალზე კვლავ სტადიონს გავმართავთ და ასე, სანამ არსებობს ფეხბურთი და სიმინდი...

პატივცემულო რედაქციავ! ჩვენ, რა თქმა უნდა, სიმინდის წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ ერთი ჩვენიც იკითხონ: აქ რატომ მიაჩნიათ რომ ფეხბურთისა და სიმინდის შეთავსებით სპორტიც აყვავდება და სოფლის მეურნეობაც!

კარგი სელექციონერები არიან, თქვენ არ მოიკვდეთ!

ვაშლოვანელი სპორტსმენები:
გ. ჩადუნელი, თ. ელისაშვილი, გ. ლომსაძე, ტ. ნოზაძე, გ. ტაბატაძე და სხვ.

კალათბურთი

თბილისელი სტუდენტები „ოქროს" შუაგულში

ვოლგოგრადის ტურის შემდეგ

ვოლგოგრადში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში „ა" კლასის იმ გუნდებს შორის, რომლებიც XIII—XXIV ადგილებისთვის იბრძვიან. ჩვენ ადრე ვიუწყებოდით, რომ თბილისის „ბურევესტნიკმა" პირველ სამ ტურში ორი შეხვედრა წააგო (ოდესის „ბურევესტნიკთან"—49:57 და დონის როსტოვის „სპარტაკთან" — 36:51) და მხოლოდ ერთი მატჩი ფრუნზეს „ბურევესტნიკთან" მოიგო (65:40). დარჩენილ შეხვედრებში თბილისელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ლენინგრადის არმიელები — 67:54, და ბაქოს თანაკლუბელები — 72:61. ერთ მატჩში (მოსკოვის „ბურევესტნიკთან") ჩვენი გუნდი დამარცხდა (51:61). ვოლგოგრადის ტურის შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა გათამაშების ცხრილში „ოქროს" შუაგული დაიკავეს.

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „სპარტაკი" (როსტოვი) — სკა (ბაქო) 71:69, „ბურევესტნიკი" (ფრუნზე) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 64:59, „ბურევესტნიკი" (ოდესა) — სკა (ტაშკენტი) 59:48, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი" (ბაქო) 82:70, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)—„ბურევესტნიკი" (ოდესა) 66:65, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი" (ფრუნზე) 69:47, სკა (ლენინგრადი) — სკა (ბაქო) 73:58, „პლასტიკასი" (ვილნიუსი) — „ბურევესტნიკი" (ბაქო) 84:61, „სპარტაკი" (როსტოვი) — სკა (ტაშკენტი) 78:50, „ბურევესტნიკი" (ფრუნზე) — „პლასტიკასი" (ვილნიუსი) 69:64, სკა (ლენინგრადი) — სკა (ტაშკენტი) 63:55, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (როსტოვი) 59:56, „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — სკა (ბაქო) 92:71, „ბურევესტნიკი" (ოდესა)—„ურალმაში" (სვერდლოვსკი) 63:55.

გათამაშების ცხრილი

	თ	მ	წ	ქ
„ურალმაში" სვ.	10	8	2	8
„ბურევესტნიკი" მ.	10	8	2	8
სკა ლენინგრადი	11	8	3	8
„სპარტაკი" როსტ.	10	7	3	7
„ბურევესტნიკი" ოდ.	11	7	4	7
„ბურევესტნიკი" თბ.	11	6	5	6
„ბურევესტნიკი" ლდ.	11	6	5	6
„ბურევესტნიკი" ფრ.	11	4	7	4
„ბურევესტნიკი" ბაქო	11	3	8	3
სკა ბაქო	11	3	8	3
სკა ტაშკენტი	11	2	9	2
„პლასტიკასი" ვილნ.	10	2	8	2

შენიშვნა: ცხრილში არ არის შეტანილი ორი შეხვედრის შედეგი: „სპარტაკი" (როსტოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) და „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — „პლასტიკასი" (ვილნიუსი).

ცსკა — მთავარი ფავორიტი

დასასრულს უახლოვდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში. საპატიო ჯილდოსთვის მებრძოლ ქალთა გუნდებს სათამაშო დარჩათ ნახევარფინალები და ფინალი. ვაჟებს, რომლებიც მათ ერთი საფეხურით ჩამორჩებიან, ჯერ კიდევ წინ აქვთ მეოთხედფინალური შეხვედრები.

სპეციალური კენჭისყრის შემდეგ (იგი მიუნხენში, კალათბურთის საერთაშორისო კომიტეტის რეზიდენციაში ჩატარდა) გუნდები ასეთი თანმიმდევრობით დაწყვილდნენ: ქალები. „ვისლა" (კრაკოვი) — ტტტ (რიგა), „სლოვან ორბისი" (პრაღა) — „სლავია" (სოფია). ვაჟები. „ვილორბანი" (ლიონი) — „რეალი" (მადრიდი), აეკ (ათენი) — „ბეოგრადი" (ბელგრადი), „იგნისი" (ვარეზე) — „სპარტაკი" (ბრნო), „ვისლა" (კრაკოვი) — ცსკა (მოსკოვი). ამ უკანასკნელი გუნდების პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა კრაკოვში. როგორც ადრე ვიუწყებოდით, გაიმარჯვა ცსკა-მ — 68:62.

თუ სპეციალისტები, ქალთა შორის გამარჯვებული გუნდის დასახელებაზე თავს იკავებენ (ტტტ-ს და „სლავიას" თანაბარ შანსებს ანიჭებენ), ვაჟთა ტურნირის ბედი მათ გადაწყვეტილად მიაჩნიათ — გაიმარჯვებს ცსკა: ასეთია ერთსულოვანი აზრი.

ტურნირი სამნიშნა ციფრებით

შეერთებული შტატების პროფესიულ კალათბურთელთა გუნდების ტურნირის, ანუ, მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ლ ი გ ა შ ი დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიოს უძლიერესი პროფესიული კლუბი, შეერთებული შტატების 6-გზის ჩემპიონი „ბოსტონ სელტიკი". ამ გუნდის აქტივშია 46 გამარჯვება და მხოლოდ 9 (!) დამარცხება. მეორე ადგილზეა „ცინცინატი როიალსი" (34 მოგება, 19 წაგება), მესამეზე — „ფილადელფია უორერსი" (შესაბამისად 28-25), ხოლო მეოთხეზე — „ნიუ-იორკ კნიკერბოკერსი" (17-26).

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ლ ი გ ა შ ი სატურნირო ცხრილის თავშია „ლოს-ანჟელოს ლეიკერსი" (31-22), შემდეგ მოდიან: „სენტ-ლუის ხუკსი" (26-27), „ბალტიმორი" (24-27), „დეტროიტ პისტონსი" (23-34) და „სან-ფრანცისკო უორიერსი" (12-42).

მოგვყავს უკანასკნელ შეხვედრათა შედეგები (საინტერესოა, რომ არც ერთი მატჩის შედეგი სამნიშნა ციფრებზე დაბლა არ ჩამოსულა): „დეტროიტი" — „ლოს-ანჟელოსი" 121:118, „სენტ-ლუსი" — „სან ფრანცისკო" 119:105, „ბოსტონი" — „ცინცინატი" 139:127, „ფილადელფია" — „ნიუ-იორკი" 121:109.



ნიუ-იორკი. „მედისონ სკვერ გარდენის" ცნობილი დარბაზი. ერთმანეთს ხვდებიან პროფესიული კალათბურთის უძლიერესი გუნდები: „ბოსტონი" და „დეტროიტი". ფოტო, რომელიც ამოღებულია პოლონურ ჟურნალ „სპორტოვეციდან" გამოხატავს ერთ-ერთ ფრაგმენტს შარშანდელი ჩემპიონატიდან.

ჭადრაკი

ა. ბოკუჩავა დიდ სარბიელზე

შესარჩევი შეჯიბრება მოსკოვში

თებერვლის დამლევს მოსკოვში დაიწყება სსრ კავშირის ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა შესარჩევი ასპარეზობა იქნება. მასში 16 უძლიერესი. ჭაბუკი ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. ტურნირში I ადგილზე გამოსული მოჭადრაკე ივლისში გაემგზავრება მადრიდს, სადაც მსოფლიო პირველობა მოეწყობა.

შესარჩევ ტურნირში მიწვეულია თბილისელი ჭაბუკი, ოსტატი ა. ბოკუჩავა. ოსტატს მოსკოვში მიჰყვება მისი მწვრთნელი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ქარსელაძე.

— ტურნირში ნამდვილად ძლიერი მოჭადრაკეები მოიყრიან თავს, — თქვა საუბარში ვ. ქარსელაძემ. — აქ იქნებიან ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან რაზუვაევი, ბალაშოვი, გრიგორიანი, ტუკმაკოვი, ვიტოლინში, კუზმინი და სხვები. ბოკუჩავას, მართალია, არა აქვს მსგავს ტურნირებში თამაშის გამოცდილება, მაგრამ ვფიქრობ, იგი არ დაიშურებს ძალებს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები. I-V ადგილებზე გამოსული მოჭადრაკეები დაშვებული იქნებიან სსრ კავშირის XXXIII ჩემპიონატის ნახევარფინალებში.

ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი

ჰოლანდიაში მესამე კვირაა მიმდინარეობს ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც სხვა ცნობილ მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობენ მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი. ერთდროული თამაშის სეანსში 10 უძლიერეს მოჭადრაკესთან — საერთაშორისო შესარჩევი ტურნირების მონაწილეებთან — ბოტვინიკმა და ფლორმა 7,5—7,5 ქულა მოაგროვეს.

მოსწავლეთა რესპუბლიკური

19 თებერვალს თბილისში დაიწყება საქართველოს 1965 წლის პირველობის ფინალი მოსწავლეთა შორის. ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებიან ზ. მიქაძე, ს. ჩიჩელიანი, ა. ლიპარტელიანი, გ. ვარდოსანიძე, ე. უბილავა, გ. ციხელაშვილი, ლ. კერნოჟიცკი (ყველა თბილისიდან), ა. ხავთასი (ბათუმი), ა. ბურკაძე (ქუთაისი), ს. გიორგაძე (სოხუმი), ნ. ფარღალავა (ფოთი) და გ. ბრეგაძე (ტყიბული).

დიდოსტატის ლექცია

ორიოდე დღით ჩვენს დედაქალაქს ესტუმრა დიდოსტატი ა. სუეტინი. გუშინწინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მან წაიკითხა ლექცია სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგებზე. გუშინ კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანამშრომლებს შეხვდა ერთდროული თამაშის სეანსში.

დიდი მატჩების მოლოდინში

საჭადრაკო სამყარო მოუთმენლად ელის მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა მატჩების დაწყებას. ვინ იქნება ტ. პეტროსიანის მეტოქე? — ეს კითხვა ყველას აღელვებს. ამაზე პრეტენდენტთა ორთაბრძოლებმა უნდა გასცეს პასუხი.

ფიდე-მ ჯერ კიდევ გასულ წელს, ამსტერდამის საზონათშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ, მოაწყო კენჭისყრა პრეტენდენტებს შორის და მათი ასპარეზობის ადგილი შეარჩია. აპრილ-მაისში ჩვენს ქვეყანაში ერთმანეთს შეხვდებიან ბოტვინიკი — სმისლოვი და კერესი — სპასკი, ივნის-ივლისში იუგოსლავიაში — ტალი — პორტიში და ლარსენი — ივკოვი. თვითეულ მატჩში 10-10 პარტია გათამაშდება. მატჩებში გამარჯვებულები შეისვენებენ დაახლოებით ათ დღეს და შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან. ამ ორთაბრძოლაშიც 10-10 პარტია შედგება. დასკვნით ეტაპზე გამარჯვებულთა მატჩში უკვე 12 პარტია გათამაშდება, მაგრამ მანამდე მისი მონაწილენი ორ თვეს შეისვენებენ. ამ გზით წლის ბოლოსთვის გამოვლინდება ტ. პეტროსიანის მეტოქე, რომელიც 1966 წლის გაზაფხულზე შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს.



ამჟამად ბევრი მითქმა-მოთქმაა არა მარტო იმის გარშემო, ითამაშებს თუ არა ბოტვინიკი, არამედ თვით მატჩების შესაძლებელი შედეგების შესახებაც. ბოტვინიკმა ყველა საგონებელში ჩააგდო. მას დღემდე არ უთქვამს, აპირებს თუ არა თამაშს. უარის შემთხვევაში, იგი ე. გელერმა უნდა შეცვალოს. როგორც ჩანს, ბოტვინიკს სურს კიდევ ერთხელ ცადოს მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა.

თუ როგორ დამთავრდება მატჩები, ალბათ არავის არ შეუძლია გამოიცნოს, თვით დიდოსტატები (მ. ტალის და ბ. ლარსენის გამოკლებით) დუმილს ამჯობინებენ. ისინი ბეჯითად ემზადებიან სათამაშოდ, მაშინ, როცა მიმომხილველებიც ცდილობენ თავი აარიდონ პროგნოზებს, ტალი და ლარსენი გაბედულად აკმაყოფილებენ ცნობისმოყვარეთა ინტერესს.

ტალმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მან იცის, თუ ვინ იქნება პეტროსიანის მეტოქე, მაგრამ ჯერ ვერ გაამხელს მას. ამ სიტყვებში იგრძნობა ტალისთვის დამახასიათებელი იუმორი. ჩვენთან საუბარში რიგელმა დიდოსტატმა თქვა, რომ მისთვის მხოლოდ კერეს—სპასკის მატჩი ორუცნობიან განტოლებას წარმოადგენს. არაფრით არ შემიძლია დავასახელო გამარჯვებულიო. ბ. ლარსენმა განაცხადა, რომ პეტროსიანს... თვითონ შეხვდება!

ფიდე დარწმუნებულია, რომ მატჩებში, რომელშიც მოხსნილია შემთხვევითობის ფაქტორი, გამოვლინდება ნამდვილად ღირსეული პრეტენდენტი. და ეს მართლაც ასე იქნება.

თ. გიორგაძე.

ახალი ამბები

● მოსკოვი. 21 თებერვალს, სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდების მატჩით მოსკოვში დაიწყება მსოფლიო პირველობის გათამაშება ბურთიან ჰოკეიში. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის გარდა შეხვედრები ჩატარდება სვერდლოვსკში, არხანგელსკში, ივანოვოსა და კურსკში. მსოფლიოს IV ჩემპიონატის მთავარ არბიტრად დანიშნულია ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

● ტ ა მ პ ე რ ე. ფინეთის ეს პატარა საკურორტო ქალაქი სულ ცოტა ხანში დიდი სპორტული შეჯიბრების ასპარეზად გადაიქცევა. აქ დაიწყება მსოფლიო პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში და ისევე, როგორც მოსკოვში, ჩემპიონატს აქაც სსრ კავშირისა და ფინეთის ეროვნული გუნდები გახსნიან. ჩვენი ჰოკეისტები გულმოდგინედ ემზადებიან ტურნირისთვის. 26 თებერვალს ისინი გამართავენ უკანასკნელ საკონტროლო მატჩს კანადის ნაკრებთან. უკვე გადაწყდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის საკითხი, — ჰოკეისტთა 1966 წლის ფორუმი ლიუბლიანაში (იუგოსლავია) გაიმართება. ცნობილი გახდა 1967 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორთა კანდიდატურები, რომელთა შორის ყველაზე დიდი შანსი კანადის ქალაქ მონრეალს აქვს.

● ოსლო. აქ 21 თებერვალს დაიწყება მსოფლიო პირველობა ბიატლონში. ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ნორვეგიის დედაქალაქს გასულ შაბათს ეწვივნენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი ვ. მელანინი, ინსბრუკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ა. პრივალოვი, ნ. პუზანოვი და სხვა საბჭოთა სპორტსმენები.

ტურიზმი

მარგალიტის მაძიებელნი

ამერიკიდან, ავსტრალიიდან, ცეცხლოვანი მიწიდან, ოქროს ნაპირიდან... ვინ იცის, დედამიწის რომელი კუთხიდან არ ჩამოდიან ჩვენში საზღვარგარეთელი ტურისტები. ჩამოდიან ისეთებიც, ვისაც წარმოდგენაც არა აქვს ჩვენი სამშობლოს ბუნებასა და კულტურაზე, მის წარსულსა და აწმყოზე, მომავალსა და ადამიანებზე. ჩამოდიან ისეთებიც, ვინც გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ საქართველო — ეს არის მხოლოდ დარიალის ხეობა და სამხედრო გზა, მცხეთის ტაძრები და სხვა, რომ აფხაზეთი მხოლოდ მზიური პლაჟი, ძველისძველი ციხე და პალმებში ჩაფლული სოხუმია. დაათვალიერებს ტურისტი რამდენიმე ისტორიულ ძეგლს, არც თუ უცხოელთათვის მეცნიერულად ძეგლს, არც თუ ექვიც არ ეპარება, რომ ჩვენი ქვეყნის მდიდრული „მძივიდან" მან მხოლოდ რამდენიმე „თვალი" ნახა...

ჩვენი ქვეყნის „მძივიდან" შევარჩიოთ ყველაზე დამახასიათებელი „თვალი", ყველაზე ლამაზი „ლალი" და „ზურმუხტი", გავუადვილოთ ტურისტებს გზები — აი, ამ მიზანს ემსახურება ტურიზმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში გაიხსნა.

ინსტიტუტი მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე. მის საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭო, რომელიც 8 განყოფილებას აერთიანებს. განყოფილებათა მუშაობას ხელმძღვანელობენ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერ-მუშაკები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, სპელეოლოგები, ინჟინრები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვ. თუ, მაგალითად, სპელეოლოგები იკვლევენ მღვიმე-გამოქვაბულებს, ისტორიკოსები — ისტორიულ ძეგლებს, სამხატვრო-მეთოდური განყოფილება ადგენს ტურისტთა უკეთ მომსახურების წესებს, საექსპედიციო განყოფილება ეძებს ახალ ტურისტულ მარშრუტებს.

პირველი ასეთი ექსპედიცია მეტად „მოსავლიანი" იყო. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აფხაზეთის ალპების ულამაზეს ზონაში შესაძლებელია მოეწყოს ვერტმფრენით ექსპედიციები სხვადასხვა მიმართულებით.

დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე იმ ექსპედიციამ, რომელსაც სამეცნიერო საბჭოს წევრი პროფესორი ვ. ვასილიევი ხელმძღვანელობდა. კერძოდ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გაგრის ქედი უნიკალური რაიონია სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის და შეიმუშავეს სათანადო პროექტი. ექსპედიციების დროს მონაწილეებმა გადაიღეს ათასობით ფოტოსურათი, რომლებიც ტურისტებისათვის განკუთვნილ ალბომს „აფხაზეთის მშვენებას" გაამდიდრებენ.

ტურისტთა უკეთ მომსახურების მიზნით ინსტიტუტის მუშაკები მუშაობენ ტურისტული სახლების პროექტზე. ეს იქნება მსუბუქი, მეტად მოხერხებული სახლი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, შქერისაგან შემოილობება.

როგორც ცნობილია, ჩვენი მეგზურები ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებენ ტურისტების მოთხოვნებს. ისინი არ იძლევიან პასუხს, თუ სად უნდა დაისვენოს ტურისტმა, სად არის უახლოესი წყარო, სად შეიძლება პროდუქტების ყიდვა და სხვა. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ინსტიტუტის მუშაკები ამჟამად სათანადო მუშაობას ეწევიან და მალე სრულყოფილი მეგზურები გამოიცემა.

— ჩვენი ინსტიტუტი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, — ამბობს ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ფაჩულია, — იგი მხოლოდ აფხაზეთის ფარგლებში მუშაობს. მაგრამ უახლოეს ხანში სხვა რესპუბლიკებთანაც დავამყარებთ მჭიდრო სამეცნიერო კავშირს. განსაკუთრებით დიდ დახმარებას ველით საქართველოს ხელოვნებათმცოდნეობისაგან, რომლებიც დაგვეხმარებიან ისტორიული ძეგლების, მღვიმე-გამოქვაბულებისა და მარშრუტების შესწავლაში.

ვ. შადური.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

▲ სიდნეი. ავსტრალიის ფეხბურთელთა კავშირმა გადაწყვიტა მოაწყოს საერთაშორისო ტურნირი უძლიერესი საკლუბო გუნდების მონაწილეობით. მეხუთე კონტინენტზე ჩამოსვლის სურვილი განაცხადეს: „ლიეჟმა", „სარაგოსამ", „ციურიხმა" და „ნიურნბერგმა".

▲ ლახტი. ქალაქის მერმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ კომიტეტს განუცხადა, რომ იგი თანახმაა ჩაატაროს 1972 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები და ოფიციალურად აყენებს ამ წინადადებას.

▲ ლონდონი. „ბირმინგემის" პოპულარულ მცველს ლინს ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში თავისებური რეკორდი ეკუთვნის: 17 წლის განმავლობაში მან მოწინააღმდეგეთა კარში 51 პენალტი გაიტანა. სხვათა შორის, ლინი არის ყველაზე რეალური კანდიდატი თავისი კლუბის ტექნიკური დირექტორის პოსტზე.

▲ მეხიკო. მექსიკის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა ფლორესმა პირადი ბარათი გაუგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბრენდეჯს, რომელშიც ლაპარაკია მომავალი ოლიმპიადისთვის მეხიკოს სპორტული ბაზების მზადყოფნის შესახებ. გენერალ ფლორესის თქმით ყველა ოლიმპიური ნაგებობა თამაშების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაიხსნება და მათზე სხვადასხვა სახის საერთაშორისო ტურნირები მოეწყობა.

▲ სტოკჰოლმი. წარსულში ცნობილი შვედი ფეხბურთელის გ. ნორდალის აზრით (იგი ამჟამად სტოკჰოლმის ერთ-ერთი გაზეთის სპორტული მიმომხილველია) ევროპული ფეხბურთი სერიოზულ კრიზისს განიცდის. ამიტომ, ინგლისის მსოფლიო პირველობაზე, იგი ვერ გაუწევს სერიოზულ კონკურენციას სამხრეთ ამერიკის გუნდებს.

▲ ბერლინი. „დინამოს" დარბაზში მიმდინარე გდრ-ს პირველობაზე მძლეოსნობაში ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. ფ. ჰერმანმა 3000 მეტრი დაფარა 7.53,2-ში და 4 წამით გააუმჯობესა ფრანგი მ. ჟაზის შედეგი. ახალგაზრდა ი. მაიმაც წაართვა მ. ჟაზის მის მიერ სამი კვირის წინათ დამყარებული რეკორდი. ი. მაიმ 1500 მეტრის გარბენას 3.42,4 მოანდომა. ორივე შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაა დახურული შენობისთვის.

▲ თეირანი. ირანის ფეხბურთის ასოციაციამ თხოვნით მიმართა შაჰს აპატიოს იმ 6 ფეხბურთელს, რომლებიც უნდა გამოვიდნენ ირანის ნაკრების შემადგენლობაში დანიის „ოდენსესთან" მატჩში. ასოციაციამ ფეხბურთელებს დისკვალიფიკაცია მისცა 6 თვით თამაშზე უარის თქმისთვის, ხოლო შაჰმა მათ ეს ვადა ერთ წლამდე გაუდიდა.

ბრაზილიელები ახალი სისტემით თამაშს გეგმავენ

ფეხბურთი

ხაველანჟი მართალია?

ამას წინათ ფეხბურთის მიმომხილველების დიდი გამოხმაურება გამოიწვია ბრაზილიის სპორტული კონფედერაციის გენერალური მდივნის ჟ. ხაველანჟის ინტერვიუმ პარიზის ცნობილ „ფრანს ფუტბოლში". ხაველანჟი აცხადებს, რომ ბრაზილიელები ინგლისში შეცვლიან ტაქტიკურ სისტემას 4+2+4, რომელიც ესოდენი წარმატებით გამოიყენეს სტოკჰოლმსა და სანტიაგოში. მსოფლიოს ჩემპიონების ახალი ტაქტიკური იარაღი იქნება 4+3+3.

„დრო ცვლის პირობებს, — განაცხადა ხაველანჟმა, — ამიტომაც იძულებული ვართ თამაში გარდავქმნათ. ჯ. და ნ. სანტოსების, დიდის, სანის, ზაგალოსა და გარინჩას დრო წავიდა. ჩვენ, მართალია, უმაღლესი კლასის ფეხბურთელების ნაკლებობას არ განვიცდით, მაგრამ ახლა სარბიელზე არიან სულ სხვა ტიპის „ვარსკვლავები", რომელთა შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოყენების საშუალებას არ მოგვცემდა ძველი სისტემა 4+2+4".

„ხაველანჟი მართალია, თუ ბრაზილიელების ნამდვილ გეგმებს ნიღბავს?" — კითხულობენ მიმომხილველები. ამ საკითხს ერთგვარ სინათლეს მოფენს ბრაზილიის ნაკრების ტურნე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, რომელიც მოკლე ხანში უნდა ჩატარდეს. ზოგი იმასაც წერს, რომ სისტემა 4+3+3 ახალი არაა ბრაზილიელთათვის, რადგან მინდვრის ცენტრში ზიტოსა და დიდის მხარდამხარ ხშირად იბრძოდა ზაგალოც, რომელიც საუცხოოდ ახორციელებდა მესამე ნახევარმცველის ფუნქციებს. საჭიროების შემთხვევაში კი სრულფასოვანი მარცხენა გარემარბი იყო.

განსაკუთრებული გამოხმაურება ხვდა წილად ხაველანჟის განცხადებას, რომ სამეული თავდამსხმელებისა ბრაზილიის ნაკრებში, რომელიც ინგლისში ითამაშებს, ასე გამოიყურება: ჟაირი, ამარილდო და პელე. აქედან ჟაირი და ამარილდო კარგა ხანია იტალიაში თამაშობენ. ჟაირი დიდი წარმატებით გამოდის „ინტერნაციონალეში", როგორც მარჯვენა გარემარბი, ამარილდო კი „მილანში" ჯერ მარცხენა გარემარბი იყო, შემდეგ კი ალტაფინის ნაცვლად საუცხოოდ თამაშობს ცენტრფორვარდის პოსტზე. ბრაზილიელებს დიდ პრობლემად არ მიაჩნიათ საჭიროების შემთხვევაში ამ ორი „ვარსკვლავის" იტალიიდან გამოძახება.

თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მერვეკლასელი როზა ბერიკაშვილი ერთმანეთს კარგად უთავსებს სწავლასა და სპორტულ ტანვარჯიშში წვრთნას. იგი მწვრთნელ თ. ქოიავას მეთვალყურეობით იწრთობა. ბეჯითმა გოგონამ რეგულარული მეცადინეობით იმდენად დახვეწა ტექნიკა, რომ შარშან სამჯერ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ახლა იგი მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების წევრია.

სურათზე: რ. ბერიკაშვილი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო ი. იუნაევისა.

ე. ფრივირტი — „საშინელი ქვეჯგუფი"

ავსტრიელი სპორტული მიმომხილველები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ მათი ნაკრები მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის უაღრესად ძნელ ქვეჯგუფში. ისინი ეჭვს გამოთქვამენ, რომ ავსტრიელები მოახერხებენ უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კარგად მომზადებული ფეხბურთელების დამარცხებას. იგივეს ფიქრობს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ე. ფრივირტიც, მაგრამ იგი ცდილობს თავი გაიმხნევოს:

„— თუ კი ჩვენ მოვახერხებთ უნგრელებისა და გერმანელების დამარცხებას, ინგლისში ბევრად შეგვიმსუბუქდება მდგომარეობა. უნდა შევნიშნოთ, რომ მართლაც საშინელ ქვეჯგუფში მოვხვდით!"

გასულ წელს ავსტრიელებმა ხუთი შეხვედრიდან სამი მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და ერთი წააგეს. შედეგები ურიგო როდია, მაგრამ ნაკრების მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ი. ვილტერმა და ბ. გუტმანმა ამ ხუთ მატჩში 15 (!) თავდამსხმელი გამოსცადეს, რომელთაც სულ 6 გოლი გაიტანეს. აქედან 3 ცნობილმა თავდამსხმელმა ნემეცმა, ერთიც მცველმა გლეხნერმა. მიმომხილველები სამართლიანად სვამენ კითხვას: „სად არიან დანარჩენი თავდამსხმელები?".

ნაკრების სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ სულ ახლახან მოიწვია „აუსტრიის" ყოფილი მწვრთნელი ე. ფრივირტი. ე. ფრივირტის ხელმძღვანელობით ავსტრიელებმა მესამე ადგილი დაიკავეს 1954 წ. მსოფლიოს V ჩემპიონატში. „შეძლებს თუ არა მომავალ პაექრობაში ავსტრიის ნაკრები ასეთივე ტრიუმფის მიღწევას?" — ასეთი კითხვით მიმართეს ჟურნალისტებმა მწვრთნელს, მაგრამ ე. ფრივირტმა დიპლომატიურად აარიდა თავი პასუხს.

ავსტრიელები უკვე შეუდგნენ ინტენსიურ მზადებას მომავალი შესარჩევი თამაშებისთვის. ნაკრების კანდიდატები შეიკრიბნენ ქ. ფლორენციაში, სადაც ე. ფრივირტმა უნდა დაადგინოს ნაკრების საბოლოო შემადგენლობა.

მთავარი მიზეზი — კატასტროფული ფინანსური მდგომარეობა

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ იკრძალება მომავალი წლის ივლისამდე უცხოელი ფეხბურთელების და მწვრთნელების შესყიდვა. გარდა ამისა, უცხოელ მწვრთნელებს, რომლებიც ამჟამად იტალიაში მუშაობენ, ფედერაციის სპეციალური ნებართვის გარეშე ეკრძალებათ ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა. განცხადებაში არ არის განმარტებული აღნიშნული აქციის მიზეზები, მაგრამ საყოველთაო აღიარებით მთავარი მიზეზი კლუბების კატასტროფული ფინანსური მდგომარეობაა.

„ჩელსის" გამარჯვება

სამშაბათს, დუისბურგში (გფრ) ინგლისის ჩემპიონატის ლიდერი „ჩელსი" ამხანაგურ მატჩში შეხვდა გფრ-ს გუნდს, რომელშიც ნაკრების 7 წევრი შედიოდა. ეს იყო საწვრთნელი შეხვედრა. გფრ-ს ნაკრების მწვრთნელს ჰ. შენს ნაკრების კანდიდატთა საბრძოლო გამოცდა უნდოდა. შეხვედრა მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ინგლისელებიც სახიფათოდ უტევდნენ და 81-ე წუთზე „ჩელსის" ცენტრფორვარდმა ბრიჯესმა ამ დაძაბულ მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა. გფრ-ს ნაკრები წელს 7 საერთაშორისო მატჩს ჩაატარებს (მაისის თვეში ნიურნბერგში შეხვდება ინგლისს).

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09. ქვესადგური (8-15.00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04650